9-2513
†

ს. ს. ს. რ

განათლების სახალხო კომისარიატი.

დაუსწრებელი პედინსტიტუტი.

ენისა და ლიტერატურის სექცია.

I კურსი.

პროფ. გ. ახვლედიანი და დოც. არნ. ჩიქობავა.

# ენათმეცნიერების პრეპოდევტიკა და ზოგადი ფონეტიკა

1932 წ. VII. 15.

განაკვეთი პირველი.

ტფილისი 1932 წ.

# ენა, როგორც ენათმეცნიერების საგანი მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით.

**წინასწარი განსაზღვრებანი.** სახელწოდება „ენათმეცნიერების პროპედევტიკა" მოითხოვს ორი ცნების წინასწარ გარკვევას; ეს ცნებებია: „პროპედევტიკა" და „ენათმეცნიერება". „პროპედევტიკა" ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან „ჰე პროპაიდეია" – „წინასწარი შესამზადებელი სწავლა". რაც შეეხება „ენათმეცნიერებას", მას ჩვეულებრივად განსაზღვრავენ, როგორც მეცნიერებას ენის შესახებ. ახლა შეიძლება დავჯერდეთ ამ ზოგადს განსაზღვრებას; სრული განსაზღვრება მოცემული იქნება ბოლოს, როცა ენათმეცნიერება—ცნების შინაარს სათანადოდ გავითვალისწინებთ.

ამ ზოგად განსაზღვრებას ამთავითვე ორი რამ უნდა დავუმატოთ: 1. ენათმეცნიერება არის მეცნიერება დანაწევრებულ ბგერებში მოცემული მეტყველების შესახებ და, მაშასადამე, ყოველი სხვაგვარი ენა (მაგ. ჟესტ-მიმიკის ენა) მხოლოდ იმდენად არის მის შესწავლის საგანი, რამდენადაც უპირისპირდება დანაწევრებულ ბგერებში მოცემულს მეტყველებას და მნიშვნელოვანია ზოგადი „ენა"—ცნების დახასიათება—ინტერპრეტაციისათვის. 2. ენათმეცნიერება არ არის სხვადასხვა ენების პრაქტიკული ცოდნა: მრავალ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი მხოლოდ ამიტომ ისევე არ იქნება ენათმეცნიე-